



ხელის მოწერა და დასაბეჭდვად განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში...  
ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მკითხვერ წერილები და კორესპონდენტების სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.  
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.  
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფურცლისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартველო“, поч. ящикъ № 67.

განცხადებანი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამეგლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ სიღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ვლირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევაძე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოვარდებით „კლდის“ იმ ხელის მომწერით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეზავნებათ მხოლოდ 1 ივლი-სამდე.  
მისამართი: გ. თიფლისი, რედაქცია „საქართველო“, Московская 4, поч. ящикъ 76.  
კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვცა.

ოქის დღიური

გიგონილვა

10 და 11 აგვისტოს გენერალ ბელოვის ჯარი კლავ მოიწვედა იაკობშატისა, დენისკისა და ვილ-ნოსკენ. ამ ჯარის მოძრაობამ ვილ-ნოს მიდამოებში გზების გადაჭრის მუქარით უკან დაახევინა რუსის იმ ჯარებს, რომელნიც იცავდნენ მდინარე ბობრის ნაპირებს ციხე ოსოვეციტურთ, რომელიც აგრეთვე მიტოვებულია. მოსალოდნელია რომ ბელოსტოკის რაიონს ზემოხსენებულ მიწების გამო რუსის ჯარი სულ თავს მიანებებს და გამოივა იმ რუკიდან, რომელიც კვლავ იზრჩება, გროდნო-ბელოსტოკის გარშემო ჩრდილოეთითან (ვილნოს მიმართულებით) და სამხრეთიდან (ბელსკის მიმართულებით). მეტად მწვავე ბრძოლა ყოფილა ამავე დროს ბელსკის აღმოსავლეთით, სადაც გერმანელებმა გასჭრეს ბრძოლის პირი და ცდილობდნენ ოდნავ გადებულ კარები გაფართოვონ და ერთმანეთს მოსწყვიტონ ბელოსტოკისა და ბრესტის გარშემო მომქმედი რუსის ჯარები. ბრესტის სამხრეთიდან გერმანიის კოველისა და პიშჩის მიდამოებში ცხარე ბრძოლები გრძელდება.

უკანაგონი იერიშები ათ აგვ. შეჩერებულ იქნა. პიშჩის რაიონში ათ აგვ. დაწყებული ბრძოლა გრძელდება.

სურნალ-გაზეთიდან

„დეილი მეილის“ საგანგებო კორესპონდენტი ასწრს ინგლის-საფრანგეთის ჯართა მოძრაობას გალიპოლის კუნძულზე და იმ დაბრკობებათა, რაც მოკავშირეებს წინ ელოდებათ ბრძოლის დროს. ოსმალებმა თბილისითა და ეკლიანით მიგულისხმებენ საოცრად დაპყლეს მთელი გალიპოლის ნახევარ კუნძული. თვითუფლი თბილისი მეორესთან შეერთებული ხერხებით, რომ ინგლისელები გაარღვევენ თბილისებს ქსელს, წინ გაიჭრებინან, მაგრამ ვიდრე ფესს მოიკიდებენ, უეცრად მათ ზურგს უკანინან მოექცევიან ხოლმე ოსმალთა ახალი ძალები, საზოგადოდ აქ ბრძოლა საოცრად წააგვს იპრის პოზიციებზე ბრძოლასაო.

ენვერფაშის მოწოდება.

„დეი. ხრ.“ ატყობინებენ ენვერფაშის მოწოდებას, რითაც მიუპარტინია ხმელეთზე მომქმედ ქვეითა ჯარისათვის: „აბა, მებრძოლნი, მიამოყრად იკვეთეთ მტრებს! არც ერთი ნაიჯი არ დაუთმეთ მტერს უბრძოლველად. მე ალგობეჭვით, რომ ერთი თვის შემდეგ ქველანი წახვალთ დასასვენებლად. ამ ხნის განმავლობაში გერმანთა ჯარები მოვლენ თქვენს დასახმარებლად“.

განცხადება ნ. ჩხეიძისა.

ნ. ჩხეიძე გადაჭრით მოითხოვს დღემდე განუწყვეტილ მუშაობას და ამბობს: —მე პასუხს არ ვაპყრებ მათ, რომელნიც ფიქრობენ, რომ ესლა საერთო ცეცხლია და ამიტომ არაფრის ახალის შეხახებ ფიქრი არ შეიძლება. მათი აზრი და ტაქტიკა ცხადია, —მათ ყველაზე უფრო ქვეყნის მომხიზიების ემზინათ. ქვეყნის ორგანიზაცია კი აუცილებელია. საკვირველია, რომ ამაზე ლაპარაკი დაიწყეს ომის დაწყების ერთი წლის შემდეგ. საოლქო ერობა, კოოპერატივები, —ყოველივე ეს, რასაკვირველია, კარგია. არაფრის შესრულება შეუძლია კავკასიის ერობას, როდესაც ტერიტორიის საკმაო ნაწილი სამხედრო სამმართველოს ხელშია? როგორ წავლენ მუშები სახმედრო-სამხრეველო კომიტეტში, როდესაც ისინი დატყვევებული არიან? ფაქტურად „ერობა“ არ არის და ამიტომ სახ. დღმა უნდა გადაიქცეს საორგანიზაციო ცენტრად, რასაც დღმა დიდი ხანია უფრთხის. თანამედროვე პირობებში საოლქო ერობაც და კოოპერატივებიც არად ივარგებს, თუ შემოღებული არ იქნა პოლიტიკური თავისუფლება. (ოქნი)

პოლონეთის ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ვინაიდან რუსის პროვინციული ადმინისტრაცია უხეშად და უკანონოდ მოექცა ჩვენ გადმოსახლებულთ, რომლის დროსაც თვით რუსეთის საზოგადოებაც უყურადღებოდ ეკიდება, —ამიტომ პოლონეთის დეპუტატებმა საბჭოსა და დღმაში უნდა განაცხადონ და მიალენინონ მთავრობას კანონიერი ზომები ხალხის ევაკუაციისა. გამოყვანილია რამდენიმე ათასი ტყვეებისა, რომელთა შორისაც არიან 12 წლისანი. უბრალო სამართლიანობისა და იმ უმაღლეს დაპირების თანდათანობითი განხორციელების მიხედვით მოვითხოვთ გადაწინაგვას საქმისას და უდანაშაულოთა განთავისუფლებას. მთავრობა მოვალეა აუნაზღაუროს გადასახლებულთ ყველა ზარალი. (ქ. ს.)

7 აგვისტოს სოფელ მუკუხანში გარდაიცვალა ჩაუღან სთხანდილის კე კვეზერელი-კოკაძე. განსვენებულის ცხედარს თბილისში ჩამოსვენებენ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

„სარფუნის კლუბი“ პროგრამა 13—16 აგვისტომდე. საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131. საბავშვო საღამო სინემატოგრაფით. 9 საათ. დაუკრავს სახანდარი. გასართობები არ იქნება დღესასწაულის გამო. საოჯახო საღამო ქართული ოპერეტაზე შესვლა ოპერეტაზე უფასოა. კონცერტი ი. პ. სპარჯიშვილის და საიმპერატორო თეატრის არტისტის ი. ტომაშვილის და სხვათა მონაწილეობით. 10 საათამდე. სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

იმ საუნიელ ცაცხლის გამო, რომელმაც იხსნა კალაძე ქართული თეატრი და თავად-აუხაროების სხვა შემოგაბი, დროებით დაკმათილი „კაფე პარიზი“ ბაისხნა წინანდელ შემოგაბში, სხასხლის ქ., თ.-აუნ. ქარავსლავში, იგი გამშვინიერებული და გალაშქრებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხიან სასადილო-რესტორანების სტილით. ყოველ დღე გვაქვს ვერძოული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდუ და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილველობის წვალი, ნაყინი, ღობი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. თვიურ მოსადილეთ დიდი შედავათი. პატივისცემით დ. გვიგბერია.

პირველხარისხიანი სასადილო „კაფე ბორდო“ მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1. ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღობი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წვალი, ცხელი „პიროგები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაუდენ იხსელიანი.

კბილის ექიმი ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩის შესახვევის 21.

ქ. გ. მ. რ. ში პეიგი ნ. მ. კლიმიაშვილი იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულე-ბიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აუთიქთან

დოქტორი ვადიციანსა მოსე ანთომოსის ძე კალანდარიშვილი უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის ავარაკში.

გაღწერას სწავრ მანქანის საზავალით და საფარ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰქისრულობს ი. თ. გვათუას კანსტორა ვერის დაღმართი № 1 ტელეფონი 17—05

130

რი, ვითომ ბელგიელები ამ უსწორო ბრძოლიდან გამარჯვებულად გამოვიდნენ. ბელგიელებმა მხოლოდ ჰქენს ისა, რაც უნდა ექნა ყოველ საზოგადოებრივ მოვლას, საუკუნოთ უკვდავ ჰყვეს თავიანთი სახელი. დაამტკიცეს, თუ რა შეუძლია ერს, თუნდ პატარას, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ღირსება, ფასი თავისუფლებისა. პატარა ბელგიამ ბუმბერაზ მტერს ქედი არ მოუხარა. თავისი მისია შეასრულა მთელის ორის კვირის განთავსულობაში პარიზისკენ მიმავალი ჯარი გერმანელთა თავის ტერიტორიაზე შეაჩერა. ამით ერთის მხრით დრო მოაგებინა ფრანგებს, მეორე მხრით—რუსებს და მესამე მხრით—ინგლისელები გამოიყვანა ომის ასპარეზზე, იმ დროს, როცა გერმანელთა ჯარის მობილიზაცია ჩუმად წინდაწინ ჰქონდა გათავებული, საფრანგეთმა მობილიზაცია მხოლოდ 2 მარამობისთვის გამოაცხადა. გერმანელები დარწმუნებული იყვნენ, ბელგიელი წინააღმდეგობას არ გაუწყდენ, დაუბრკოლებლად გაატარებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე და ორი კვირის განმავლობაში პარიზში შევიდოდნენ. მაგრამ ორი კვირის განმავლობაში, სანამ გერმანელები სოფლებს და ანუხრასთან იბრძოდნენ, საფრანგეთის მობილიზაცია თითქმის დაიბრუნდა, ინგლისი ომში ჩაერია, იქით რუსეთმაც დრო მოიგო მობილიზაციისათვის. ბელგიამ რომ ისე არ გამოვიდა თავი, ადვილად შესაძლებელია, სულ სხვა ამბების მოწამენი ვყოფილიყავით, ვიდრე დღეს ვართ. ბელგია რომ არა, გერმანიის ყველა შანსი ჰქონდა რამდენიმე თვეში გაეთავებინა ომი და გაბატონებულიყო მთელს ევროპაში...

გერმანელებმა ბელგიელების ქალაქი ანვერსი რომ აიღეს, ბელგიის სხედრობა საფრანგეთის სამზღვრისაკენ წამოვიდა, ხოლო თვით მთავრობა ბელგიისა საფრანგეთში შეიხიზნა. ქ. ჰავრი მისი დროებითი სატახტო ქალაქი მადლიერმა საფრანგეთმა და ინგლისმა ყოველი ღონე იღონეს, რომ ბელგიიდან ლტოლვილთა და მისს მთავრობას შეეშალათ. მწარე ხედრი. ყველა მოკავშირეთა ერთმანეთს შეჰფიცეს, არ ჩაავრდნენ ქარქაშში ხმალი, არ მოეშვენ საერთო მტერს, სანამ ბელგიის მისს დამოუკიდებლობას არ დაუბრუნებენ, სანამ მტერს არ აძებლებენ უზღონ ყოველი ზიანი, ბელგიელთა რომ მოუვიდათ.

მწარე 21 მკათავე გაუთენდათ ბელგიელთ, საერო გლოვისა და მწუხარებას შორის იხდიან დღეობას. მაგრამ ალუნიშვნელად მაინც არ დასტოვეს. დღეობა ჩვეულებრივად არ გადაუხდიათ, მაგრამ მაინც გადაიხადეს ინგლისსა. საფრანგეთსა თუ ჰოლანდიაში, საცა კი თავბურქონი არიან ბელგიიდან გადმოხვეწილი. სხვათა შორის, ქ. ჰავრის ქალაქის თავმა მოქალაქეთ შემდგვის მოწოდებით მიმართა.

ძვირფასო მოქალაქეო:

ოთხშაბათს, 21 მკათათვეს, ბელგიის ერი თვისის დამოუკიდებლობის გამოცხადებას აკონებს ხოლმე.

ჩვენს ქალაქ პატივი აქვს ბელგიის მთავრობის დროებითი სამოციფელ ადგილად იქმნეს, ეს მთავრობა იძულებულ იქმნა თავი დაენებებინა თავის ტერიტორიისა და სამშობლოსათვის, რათა უფრო თავისუფლად ერომს მტერს. ამ ძვირფას სტუმრების მიზნით ჩვენს ქალაქი ბელგიის კეთილშობილ ერის ეროვნულ ცხოვრების მანიფესტაციას უერთდებოდა.

მოვიწოდებთ, ოთხშაბათს თქვენი სახლები ბელგიისა და საფრანგეთის ბაიროლებით მორთოთ და ამით დაუმტკიცოთ ჩვენი გრძობანი პატივისცემისა და მადლიერებისა ფრანგებს.

ამითვე ერთხელ კიდევ გამოავცხადებთ პროტესტს იმ შეუნდობელ ძალმომრეობას, რომელმაც მსხვერპლად ბელგია შეიწირა.

მოქალაქეო! ჩვენის ერის დიდებისა და სახელის მთავარი დევიზი იყო—ბრძოლა ერთა თავისუფლებისათვის! თქვენი მანიფესტაციებით ერთხელ კიდევ დაამტკიცებთ და ხმაშიღლა დაღვრეყოფთ, რომ ყველა ერს უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად ცხოვრებისა და დამოუკიდებლობისა.

გაუმარჯოს ბელგიას!

ქალაქის თავის მოწოდებას მთელი ქალაქი ალტაცებით გამოეხმაურა. მთელ ქალაქში საფრანგეთის ბაიროლებს გვერდით ბელგიელთა ბაიროლები ფრიალებდა. „გაუმარჯოს ბელგიას!“ გაისმოდა ყველა მხრით, სენტანდრეს ეკლესიაში დიდის ზეიმით გადახდილ იქმნა პარაკლი-

სი, რომელსაც დაესწრნენ ყველა წევრები ბელგიის მთავრობისა და საიდოლო-მატო კორპუსი. საერთო ალტაცების შორის იგალობეს ბელგიელთა ეროვნული ჰიმნი „ბრაბანსონი“ ცერემონიის გათავებისას, ყველა ოფიციალ პირთ, სანამ ეკლესიიდან გამოვიდოდნენ, ხელი ჩამოართვეს მინისტრებს და უსრუვეს: ღმერთმა მალე მოგვასწოროს განთავისუფლებულ ბელგიაში ვიხილეთ გამარჯვების სამადლოებელი პარაკლისათ.

ამ გვირგვინს გადინადეს დღეობა როგორც ლონდონსა, ისე საფრანგეთის სხვა ქალაქებში და ნუგეში სცეს პატარა ბელგიის ერს, დროებით მგლოვიარეს, მაგრამ ბრწყინვალე იმედით გულსაყეს.

თ. სახოკია.

პარიზი, 22 (9) მკათათვე.

**საქართველო**

წლის დამთავრებულ წლის 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთის თვის—90 კ. ფოსტის აღწერის: თბილისი, მოსკოვის კუჩხი, 4. ფოსტის კუთხი 76.

**ახალი ამბავი**

◆ **კრება.** ვაჟა-ფშაველას დამკრძალავი კომიტეტი უკანასკნელად შეიკრიბება დღეს, საღამოს სწორედ 7 1/2 საათზე დეპუტატთა საკრებულოში.

◆ **ვაჟა-ფშაველას ხსოვნას.** ს. მეჯვრისხვიდან გვეყრნენ: 2 მარამობის-თვეს წმ. მარინეს ეკლესიაში მრავალი საზოგადოების თანადსწრებით გადხდილ იქმნა პანაშვიდი. მასწ. ალექსანდრე ნათაძემ წარმოსთქვა მგრძობიერი სიტყვა: წირვის შემდეგ გაიმართა კრება, რომელმაც დაადგინა: განსვენებულის ვაჟას პატრესაცემად ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაერქვას ვაჟას სახელი. შეგროვდეს ფული მის სახელობაზე, ნაწილი გაეგზავნოს ვაჟას სახელობაზე დაარსებულ ფონდს, ნაწილით იყიდონ მისი ნაწერები სოფელში დასარიგებლად. ფული გროვდება.

◆ **დაზარება.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა 1.500 მანეთი გადასდო ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის. ეს ფული საზოგადოებამ უნდა მოახმაროს მიმდინარე წლის განმავლობაში მეხილეობისა და მებოსტნეობის ტენიკურად გაუმჯობესებას, რისთვისაც ამ თავითვე საქუროა ხეხილის სანერგის მკვიდრს ნიადაგზე დაყენება.

◆ **ამხანაგობა „ქართლის“.** საადგილო-მამული კომისიამ პრინციპიალურად გადასწვეტა მისცეს სესხად ამხანაგობა „ქართლს“ ხუთასი თუმანი (5,000 მან.), „ქართლის“ გამგეობამ დანიშნა 23 მარამობისთვისათვის სრული გამგეობის კრება ს. ქარელში ზამთრის სეზონის მოწესრიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

◆ **ქალაქის შემოსავალი.** მიმდინარე წლის განმავლობაში 1 აგვისტომდე ქალაქის კასაში შესულა: უძრავ მიწებების დასაფასებელი გადასახადი 704,000 მან., სახლოსრო ბაი 35,000 მან., მე-

ტრატკირებისაგან 34,000 მან., ცხენების ბაი 31,000 მან., ავტობობილებისაგან 2,400 მან., სხვა და სხვა ბაი 8,000 მან., ქალაქის მამულთა იჯარები 35,000 მან., ქალაქის მფლობელთა იჯარა 14,000 მან., და სხვა შემოსავალი 24,000 მან., წყალსადენმა მისცა ქალაქს მიმდინარე წლის პირველი 3 თვის განმავლობაში 256,000 მან., ამ რიცხვში შედის 140,000 მან., რომელიც საახდრო უწყებამ გადაიხადა მასხედ დარჩენილ ვალს ანგარიშში.

◆ **ხურსათი.** 11 აგვისტოს მოტანილი იყო თბილისში: ფქვილი 16 ვაგ., შაქარი 4 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., კარაქი 1 ვაგ., სახამთრო 11 ვაგ., თამბაქო 2 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., ბრინჯი 145 ფუთი, ბაკალეანი 285 ფუთი, კვერცხი 328 ფუთი, ქათმები 420 ფუთი, ხილი 555 ფუთი, ახალი თევზი 240 ფუთი და ღვინო 368 ფუთი.

◆ **ხოლერა.** 11 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 2 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. 12 აგვისტოს ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 60 და ხოლერის ნიშნებით 13 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** 12 აგვისტოს ქალაქის თავისუფალში იმყოფებოდნენ: ქუთურუშიანი 32, ხუნაგიაანი 13, ყვავილიანი 2, საოფლიანი 14, მუცელაიანი 7 და შავი სახადიანი 17 კაცი.

◆ **ხოლერა გორში.** 10 აგვისტოს ქალაქ გორში, რკინის გზის სადგურზე, ხოლერით ავად ვახდა გიორგი ირამიშვილი. ავადმყოფი გულში ჩამოიყვანეს თბილისს და მოათავეს ლაზარეთში № 40.

**პირი ჭურის გავი**

**წერილი პარიზიდან**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტროგრადის სააგენტოს ცნობებში საქართველოში მოსალოდნელ აჯანყებისა და აპარელთა გადადგომის შესახებ პარიზის თითქმის ყველა განხილვაში იყო დაბეჭდული უკომენტარიოდ. აქორცვებით „Times“-ის 18 (5) მკათათვის №-ში დაბეჭდა იმ ამ საგნის შესახებ მოკლე შენიშვნა. ამ სათაურით: „Le loquisme des Français“ (ქართველთა ერთგულება): „პეტროგრადის სააგენტომ წარსულ 19 მარტს აღნიშნა ის ინტრიგისმალითა და გერმანელთა, რომელსაც აზრად უნდა ჰქონოდა აეჯახებინა საქართველოს მკვიდრი როგორც ქრისტიანნი, ისე მაჰმადიანნი. და რომელსაც მეტად სიმწუხარო შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ეს ამბავი თბილისში რომ მოვიდა, გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელი როგორც თავად აზნაურობისა, ისე პრესისა და პროტესტი განაცხადა ამ უსაფუძვლო ხმების წინააღმდეგ. პარიზის ქართველთა კოლონიამაც შეუერთა თვისის პროტესტის ხმა თბილისის წარმომადგენელთა პროტესტს.

თ. ს—ა.

**პროსიგტა და პოპუარაში**

ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების ანალოგიურმა საზოგადოებამ „პროსიგტამ“ გალიციაში წმინდა კოპერატორების იდეის სამსახური დანერგვა მალორბეტში იმავე წლიდან იწყო, რომლიდანაც სასოფლო-სამეურნეო ნაწილს მიაპყრო თვალს, ე. ი. 1891 წლიდან. აი საიდან დაიწყო ამ სფეროში მუშაობა და რა გვარ გამარავალდებოვანა თავისი მუშაობა ამ მხრივ:

ზემო აღნიშნულ წლიდან „პროსიგტას“ სამკითხველოებთან დაფუძნდნენ საჯარო ორგანიზაციები, გამსესხებელი კასები და სხვა დაწესებულებანი. 1912 წლის ბოლოს ე. ი. 21 წლის შემდეგ „კრამიცები“ ე. ი. მაღაზიები 540 იყო გალიციელ მოლოროსებში და 257 კასა. როგორც კი ამ გზაზე ფენი შესდგა „პროსიგტამ“, თანახმად იტალიელ კოპერატორების რჩევას—უკანტროლოდ ნუ ენდობით, გინდაც ციდან ანგელოზი ჩამოიფრინდეთ კოპერატორულ დაწესებულებაში მოსამსახურესო,—1906 წელს მან განსაკუთრებული ინსტრუქტორი დაიპირავა, რომლის მოვალეობასაც შეადგინა ორგანიზაციების მკაცრი კონტროლი, კოპერატორულ თემებზე ლექციების კითხვა, გაძლიერა კასების და მაღაზიების გამოცდილ გამგეთა მოსამსახურებელ კურსებში და სხ. ამ გვარი კურსები 1906 წლი-

დან 15 შესდგა და მსმენელი იყო 427 კაცი. 1891 წელს პირველად და უკანასკნელად არ შეიცვალა „პროსიგტამ“ თავის წესდება. შემდეგაც ფხიზლად აღდგენებდათ თავალ-ყურს სამშობლოს პირ-ვარამს და ისე სცვილია წესდებს, როგორც მოუხდებოდა ცხოვრებისგან წამოყენებულ სულ ახალ-და-ახალ მოთხოვნილებებს.

1908 წ. „პროსიგტამ“ გაიხსნა მაღაზიებში საქონლის მომწვედელი **საშუამავლო განყოფილება**; მისვე ჰქონდა მოწყობილი სასოფლო მეურნეობაში საქიროსაგანთა და ნივთთა მსყიდველი განყოფილება. ვისაც ჯერ-არს დაანახვა საქიროებზე ამ გვარ მოქმედებისა, საქით მიუთითა სამოქმედო ახსარებისკენ. და ვისაც თვალნი ესხნან ხილვად და ყურნი ესხნენ სმენად, მიჰხედნენ რას ავალდებოდათ სამშობლო ერის გაქირვებული ცხოვრება; მართლაც მალე შეჰქმნეს ამ ადამიანებმა ცალკე ამხანაგობები და თავის თავზე იდეს ზემო ნახსენებ ორ-გვარი ოპერაციების გაძლიერება. ამ გვარად გაინაწილეს სასიამოვნო ჯვად და სულ მეტნი და მეტნი ჩაებნენ მოშობელ ერის ამამიარავებელ ფერხულში. არც ნიშის მოგება, არც შორით მზერა და ცდა—აცა რა მოხდებოდა, არ ყოფილა ამ ხალხში, როგორც ხშირად ეს ჩვენში არის ხოლმე. შეგულ გაქირვებაში უნდა; დალხინების დროს ყველანი ყვირით ვართ და ცა ქუდათ არ გვეყოფნის, დედამიწა ქალანდა. ერთი ალილუა მღვდელსაც შეცდებოდა, ყველა ასპარეზზე შეიძლება შეცდომების დაშვება, მაგრამ სხვა სხვის ომში ბრძენიობა და ჩვეიც, გარეშე მდგომთ, ხელის გაწვედა გემართებს, როდესაც რომელიმე საზოგადო დაწესებულება მეტად დაიტვირთება საქმიანობით და არა ცერად ყურება. ამას გვაველებს „პროსიგტამ“ გამოცდილება და მის გარეშე მომდგომ ადამიანთა საქციელი შრომის ჩამორთმევაში დიდათ სასარგებლო წესაბაძი რამ არის ჩვენთვის. ნურაინ ვიტყვი—მე რა შეგლა შემიძლიანო. თუ ზღვა კოვხით დაიღვავა, კოვხით აივსება კიდევ ცოტა მე, ცოტა შენ და ერს აუქვერდება ბევრი პირ-ვარამი. „პროსიგტას“ მაგალითი ამის კარგი თავდება.

„პროსიგტამ“ დიდი ყურადღება მიაქცია საზოგადოებრივ საფუძვლებს გადახედვას; ამ გვარ უმედურებას მოლოროსთა სახლების ჩალის სახურავები მეტად ხელს უწყობდა. საზოგადოების ყურადღებაც სწორედ სახურავს მიექცა და ცეცხლის საწინააღმდეგო სახურავ მასალის გასავრცელებლად, მან კრამიტის ფაბრიკების დაარსება იწყო; ამ გვარი ფაბრიკებიდან ყველაზე უდიდესი „პროსიგტის“ ფილიალურ განყოფილებასთან არის აშენებული სტრიაში.

ჩვენში ცეცხლისგან საშიში სახურავები სულ არ არსებობდა გარდა იმერეთისა, მაგრამ ჩვენებური მიწურები განაწილებს საზოგადოებას, თუ კი ჩვენ საქიროებ ვხედვით ცხოვრებათა ჯანმთავრობას... დღესაც აუარებელი მცხოვრებნი ამ გვარ ბანიან სახლებში სცხოვრობენ ბარშიც. მთაზე ნურას ვიტყვი, სადაც წვიმას ერთი დღის შემდეგ იღებს გარეთთა შედარებით, სინესტე, სიბინძურეთა მოთუვლელობა ამ გვარ სახლებში, ყოველგვარ ბაცილების და სოკოების საუკეთესო ბუნაგებია იქ. მცირეწლოვანთა დიდი პროცენტის გადაცვალება, სილიონი ფერი მცხოვრებთა, ღიბიანობა და წყალმანკები განა ამ გვარ სადგომების შედეგები არ არიან... ვინ მიაწვდის კრამიტს მცხოვრებთ, რომ უფიდაკო, უღამფო სახლები ზედმეტ ნესტისაგან განთავისუფლდეს? ისევ ჩვენებურმა „პროსიგტამ“ და სხვა დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ ამაზე. ნურაინ მოტყუებდით, სოფლად თუ თითო-ორიო სახლს დაინახავთ კრამიტ-ფესტი გადახურულს... შეგლა აქაც საქირო.

გარდა დამწვარ კრამიტებისა, არის ცეცხლის კრამიტები. ლამი და ქვიშა აუარებელი გვაქვს ჩვენი მდინარეების წყალბობით. საქუროა რამდენიმე პროცენტის ცეცხლის გარევა სილაში და ამ მოშაღებმა. ასეთი კრამიტი უფრო მძლე, უფრო იაფი ჯდება თორმე... მისი კეთება ოჯახშიაც შეიძლება, თუ საამისო ხელის მანქანებს ხალხს ვაჩვენებთ, მიგაწვდით, მივეყიდით ან მივაქირავებთ ყველა ამგვარ საქმეს ეფინის შემხველი აკლია. „პროსიგტამ“ გალიციაში ყველა საქირო საქმეს ეყვანიც შეება და მეტად ძუძუმძღარ გამდელადაც გაუხდა მათ. ჩვენშიაც ვინმე უნდა ვასტეხოს ნაცის და გულმტკინეველ დედათ უნდა მოეცოდეს სოფელს, თორემ მის გაპარტახებას შეეწყობა ხელი.

უკანასკნელ წელს „პროსიგტამ“ გაიმოსა სასოფლო-სამეურნეო დაარსების წინააღმდეგ. მაგრამ „პროსიგტის“ ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწეობად ითვლება ამ სპეციალი სკოლის გახსნა-შენახვა. 1909 წ. მილივანში ერთ წლიანი მამაკაცთა სასოფლო-სამეურნეო სკოლა გახსნა „პროსიგტამ“. ამ სკოლის მიტროპოლიტმა ა. შეპეტინციმ შესწირა 70 მორგი მიწა, 1912 წ. თვით „პროსიგტამ“ მიუშვა ამ ნაჭერს 30 მორგი ნაყიდი მიწა და ძველი სახლი სკოლისათვის შეაკეთა, რომლის ღირებულებაც 80.000 კრინს უდრის. სკოლისთან არსებობს დიდი სანერგე, რომელიც 23 მორგზე (12 დესეტინამდე) გადაჭიმულია.

ჩვენც არც მიტროპოლიტი გამოვიჩნდა, არც ერის კაცი ამ გვარ მიმართულებისა. ვინდაც რომ გამოგჩენიყო განა მოუვლიდით?.. არა მგონია... ჩვენ სასკოლის ყირამალა დაყენება უფრო გვეხერხება. უსათუოდ ამ გვარ მამულზე ქალების სამეურნეო სკოლის მოწყობას დაიწყებდით. ვის არ ახსოვს ამის შენახვად გადაწყვეტილებები. ვანა იქ, სადაც მამაკაცს პოლიბიაში სამსახური და უბრალო ჩინოვნიკად ყოფნა დიდს ბედნიერებად ეჩვენება, შესძლებს ქალი მეურნეობის აყვავებას?.. არსად გავიწილა... ალბათ აქ, ჩვენ, ქართველებმა, ახალი ამერიკის ალიონის იმედი გვაქვს. „პროსიგტამ“ კი ქალების სამეურნეო სკოლა მხოლოდ 1912 წელს გახსნა ვინაისკის უფრცხვებში მალეცეისაგან ნაანდერძვე მამულზე. აქაც კურსი ერთი წლისაა. მოსწავლეობდა მხოლოდ გლების ქალებს შემუშლიანთ ყოფნა. „პროსიგტას“ ყველა სკოლაში როგორც განსაკუთრებით სავანი, კოპერაციის შესახებ ცნობები ისწავლება.

1911 წ. „პროსიგტამ“ გახსნა უკრაინული საჯარო სკოლა ორი წლის კურსიანი. საქირო ხარჯებს ამ სკოლისთვის გაიღებდა როგორც „პროსიგტა“, ისე უკრაინული საშუალო კოპერატიული ინსტიტუტებიც, მაგ. „დნისტერი“, „სახალხო ვაჭრობა“, „კრედიტის კავშირი“ და ზოგიერთი „ლონიერი პროვიციული საზოგადოებები.

აი ჩვენს გაქირვებაში როგორ ორგანიზაციები უნდა ვემყარებოდით და არა საჩივრით და ყულაბების ტარებით ვფიქრობდით აუარებელ ცრემლის მოწმედს.

საერთოდ, როგორც წინა წერილშიც მოვიხსენიე. „პროსიგტა“ ერთგული გუშავი იყო თავის ტანჯულ ერისა. როგორც კი ხალხში რაიმე საქმეს მოუშვიფლებოდა დრო, მაშინვე „პროსიგტა“ ხელს ჰკიდებდა მათ განხორციელებას. დაბოლოს „პროსიგტამ“ თვით იწყო საქციელი ორგანიზაციების მოწყობა; როგორც ეს მოხდებოდა, მაშინვე თვით სპობდა ამ მხრივ მოქმედებას. ამ რიგად მან გაუნაწილა როლები: სასოფლო მეურნეობის ალორბინებაზე მუშაობას ეხლა „სილესი გოსპოდარი“, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ყოველ-გაციდისმოწყობა თავს იღვა „კავშირმა“ სილოკ გოსპოდარულ ვაჭრულმა, შუაგულ შენახვად მაღაზიებისთვის საქონლის სყიდვის დროს გამოიღო, „სახალხო ვაჭრობა“. სასოფლო-სალოტერატორა წიგნაკების გამოცემას პატრონი გაუწინდა; „კრავი კავშირი რევიზიონი“ და „სელსკის გოსპოდარი“. ამით გარდა „პროსიგტამ“ გადაწყვიტა თავისი საჯარო სკოლებსა ხელმძღვანელები გაუწინდა და ამისთვის იგი ცდილობს განსაკუთრებით ამხანაგობა დააარსოს.

წამყვანი წამაძელობაში... „პროსიგტას“ წამაძეობა კი არამც თუ არ წავგვეყვამდა, არამედ ყოველ ჩვენს საზოგადო დაწესებულებას ხალხისთვის სათავყენებელ საგნად გადააქცევს. უპირველესად მის მაგალითს, ჩემის აზრით, ჩვენი წ-კ. გამარცხლებელი საზოგადოებები უნდა გაჰყვეს და, რაც შეიძლება მალე, გაიხსნას თვისთან „კოოპერატიული სექცია“.

ლ. ცვაგარელი.

**გოუსავლოვა თი-ლისის გუბერნიისი**

გადაპრით შეგიძლია ვსთქვათ, რომ თბილისის გუბერნიისი შიმშილობა იქნება და ამის შესახებ ჩვენმა დაწესებულებებმა არ იციან-რა, ანუ იციან, მაგრამ მაინც არ იღებენ ხმას. გუბერნიის არც ერთ მახარაში საქმარისი პური არ მოსულა. აილთ წინამხარი, ეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე მეკუთრობისა, აილთ უკანამხარი, თბილისისა და დუ-

შეთის მარტები, ზემო და ქვემო ქართლი, ყველა კუთხეს შემოვიღოთ მივალს. უკანასკნელ ხანებში ჩვენს თვალთა ვხედავთ მრავალ სოფელს, სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულებს, რომელნიც პურის თესვს დედაქვეყნის თბილისში. წარმოადგინეთ, — არა თუ გამოსაკვები, სათესლე ხორბალიც-კი არ მოიპოვებოდა. ბევრმა სოფელმა გულახდით გვიამბო, რომ იშვიათად იქნება ჩვენს სოფელში ისეთი ოჯახი, რომელსაც 2 თვის სამყოფი პური მოსვლიდესო, მცხოვრებთა უმეტესობას-კი დღესაც არ მოეპოვება.

მიზეზი ასეთი მოსავლობისა, სხვათა შორის, არის გამოუძღვრელი წყნობები მთელი ივნისისა და ივლისის პირველი კვირის განმავლობაში და შემდეგ ქარები. ასეთმა ამინდმა გამოაფიტა პურის მარცვლები და ამასთანავე ყანებში გააძლიერა მავნე ბალახი.

ამ საკითხობროტო მოვლენაზე ჩვენ კიდევ გვექნება ლაპარაკი; ეს-კი იმას დავსძენთ, რომ ეს-კი დაუძღვრელი საჭიროა განსაკუთრებული ზრუნვა იმან-ზედ, რომ საკმაო საითი თესლი მივაწოდოთ სოფლის მამულს რათა მინდვრები დაუთესელი არ დარჩეს, რამდენადაც ვიცი, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას ამ მოვლენის შესახებ საკმაო ცნობები აქვს და დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ იგივე საზოგადოება იკისრებს თაოსნობას ხალხის დასაცავად.

ლ. ლევანიძე.

ხარფუხის საზოგადო კლუბი და ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წარმ.

„ერთმა უნებურმა თავუნამ იუკადრისა თავგება, დასწყევლა თვისი გაჩენა ბუნების იწყა მან გობა...“

გაზ. „საქართველოს“ მე-66 №-ში, ახალ ამბებში ამოვიკითხეთ, რომ: „პარასკევს, 14 აგვისტოს მოწვეულია ხარფუხის კლუბის წევრთა საგანგებო კრება, რომელსაც განსხილველად წარედგინება სხვათა შორის: „კლუბის სახელის შეცვლა“.

მე ნებას მივცემ ჩემ თავს შევეკითხო ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭოს, თუ რამ, რა მოსახრებამ აიძულა იგი, ამისთანა წინადადება წამოეყენებინა, და ისიც საგანგებო კრებაზე?

ნუ თუ სიტყვა „ხარფუხი“, ჩირქსა სცხებს კლუბის წევრებს და მამასახლისთა საბჭოს?

მამასახლისთა საბჭოს ძალიან კარგად მოგხსენება, რომ ეს კლუბი დაარსა ხარფუხის ქართულმა დრამატულმა წარმოდგენის ბ. გიორგი შათირიშვილის მეთაურობით.

თუ სახელწოდება ამ კლუბისა ჩირქსა სცხებდა მათ თავ-მოყვარებობას, ძალაუნებურად იბადება საკითხი: რადა და რისთვის ეწერებოდნენ წევრებად და რისთვის დაიარებოდნენ ამ კლუბში?

და თუ იმ დროს მათთვის ეს სახელწოდება სათაკლო არ იყო, დღეს რადა დავმართათ?

იქნება სიტყვან, ეს კლუბი ფაქტურად მოქმედებს კუჩაში, მიხილის ქუჩაზე და ამიტომ საჭიროა სახელის გამოცვლა. შემცდარი აზრია, ვინაიდან კლუბი თუ დღეს მიხილის ქუჩაზეა, ხვალ შესაძლებელია კრებამ საჭიროთა სენოს გადაიტანოს იგი ხარფუხში, დიდუბეში, ან კიდევ ქალაქის სხვა რომელიმე ნაწილში!

თუ სახელის გამოცვლით, მამასახლისთა საბჭო პიტირობს, რომ კლუბის საქმეები კარგად წავაო, ძალიან შემცდარი ბრძანებებიან, ვინაიდან, როგორც მოგხსენებთ, უპირველესი და უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მოქმედებას, შინაარსს და თვით საბჭოში მოქმედ ძალას, და არა სახელს.

აი, მაგალითად, კრებამ ამ კლუბს რომ უწოდოს დავით აღმაშენებლის სახელი; და საბჭოში ამოიჩინონ ბოგშეები, არამზადები და გონებით და სინი-ლისით გარყვნილი და ზნეობით დაცემული ბირნი, ვანა ამით, კლუბის მოქმედება მაღალ წარბეჭედ იქნება და-ქმენული და თავის დანიშნულებას შეასრულებს? არასოდეს! სახელი კი არა—სახარება, ბატონებო, საჭიროა, სახარავი! სიტყვა უსაკვალ, მკედარია. მაგრამ საქმე ამაში არ ვაბლაკო!

ამ კლუბის დაარსება მჭიდროდ არის დაკავშირებული ხარფუხის ქართულ

დრამატულ სახალხო წარმოდგენების წრესთან. ამ წრის წევრებმა განიზრახეს, შეიკადრებინათ ხარფუხის სახალხო წარმოდგენის წრის დაწესებულება დაეარსებინათ, რომლის შემოსავალი უზრუნველ ჰყოფდა ხარფუხის ქართულ დრამატულ საზოგადოების თვით არსებობისაგან ბევრის ფიქრის, შრომის და დიდებარების შემდეგ, წრის თავმჯდომარის, ბ. გიორგი შათირიშვილის მეთაურობით შეადგინეს კლუბის წესდება და დაარსეს ხარფუხის კლუბი.

მხოლოდ და მარტო ამ ხარფუხის ქართული დრამატული წრის მეცადინეობით და ინიციატივით დაარსდა ხარფუხის კლუბი. წრემ არ დაზოგა არც ფული, არც შრომა, არ შეუშინდა არავითარ დაბრკოლებას და სიტყვა საქმედ აქცია იმ იმედით, რომ კლუბი იქნება წყარო ხარფუხის ქართული დრამატ. წრის არსებობისა.

ამიტომაც არის, რომ წელს, კლუბის საზოგადო კრებამ გადასწყვიტა: მიეტოვებინათ ქართ. დრამ. წრეს 500 მან., ხოლო შარშან-კი წრის თავმჯდომარე ბ. გიორგი შათირიშვილი ერთხმად უკენ-ქით იქნა არჩეული მამასახლისად.

კლუბს და წრეს შორის არსებობს სა-მის წლის ვადით წერილობითი ხელშეკრულება.

იქ, იმ ხელშეკრულებაში, ნათლათა ნაჩვენები მიზანი და მოვალეობა ამ კლუბისა—ხარფ. ქართულ დრამატ. წრესადმი.

ვინა ან რა არის თავდები იმისი, რომ მის შემდეგ, როდესაც ამ კლუბს სახელს გამოუცვლიან, მშრალზე არ დარჩება ხარფ. ქართული წრე?

არა, ესე არ ვარა.

„გარეულმა შინაური გააგდო“, სწორედ ამ კლუბზე ითქმის.

საჭიროა მამასახლისთა საბჭოთ კარგად ჩაუკვირდეს საქმეს, ასწონ-დასწონის ყოველივე, მოიგონოს ამ კლუბის დაარსების დანიშნულება და მიზანი; მოიგონოს ის მისაღებების სიტყვები ხარფუხელებისადმი, რომელიც წარმოსთქვებს, თვით კლუბის თავმჯდომარემ ბ. დუმბაძემ, სამ. ლონდაძემ, არლუთინკიმ და სხვებმა, და ამის შემდეგ სიტყვან: შესაძლებელია ამ კლუბს სახელი გამოეცვალოს თუ არა.

ჩვენ ვიტყვით: არა და ათასჯერ არა. და ამიტომ, ჩვენის ღრმა რწმენით ეს საკითხი უნდა მოიხსნას.

ხარფუხის საზოგადო კლუბი უნდა დარჩეს ხარფუხისავე საზოგადო კლუბად.

მეორედ ვადანათვლას იგი არ მსაჭიროებს და ვისაც ეს სახელი სამარცხივინოდ მიანიჩა, ჩვენ მოურიდებლად ვეტყვით: დაანებონ ამ კლუბს თავი და გაგვეკალნენ,—მაღლობა ღმერთს, თბილისში სოკოებისავით გამრავლებული კლუბები—წაბრძანდნენ იქ, სადაც მათი თავმოყვარეობა არ იქმნება შელახული. მოკეთე.

ბალტიის მხარეში

გაზეთ „რუსკოე სლოვოში“ პეტროვს ვრცლად აქვს აწერილი ბალტიის მხარეს გამაგრება გერმანელების მიერ.

დაიჭერენ თუ არა გერმანელები, რომელსამე ალაგს, —სწერს პეტროვი—მაშინათვე იმის გამაგრებას შეუდგებიან ხოლმე. ადვილად დაქერილ ალაგს გერმანელები ძნელ დასაბრუნებლად ხდიან.

გერმანელთა საქმიანობა დიდ განცვიფრებას იწვევს ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

— საიდან, როგორ, ესე მალე... გაიძახიან ლატიშები.—რაღაცა რკინის მთასა ჰქმნიან, ყველგან ზარბაზნები, ყველგან ბეტონით გაკეთებული საძირკველები, ზარბაზნების დასადებლად. ყველა მდლობები, ყველა გზის ასაქცევეები გამაგრებულია.

საზოგადოდ კურლანდიაში ბლომად მოიპოვება კარგად მოწყობილი გზები. გერმანელებმა ეს არ იკმარეს და გზათა რიცხვი ერთი ხუთად გაამრავლეს. უპირველესად ყოვლისა გერმანელებმა, შეაკეთეს ის გზები, რომელნიც რუსებმა გაათუქეს თავის უკან დახევის დროს შემდეგ აღადგინეს ყველა ხიდები. იქ, სადაც მხოლოდ ერთი ხიდი იყო, გერმანელებმა მეორეც გააკეთეს, ერთი გასასვლელად, და მეორე გამოსასვლელად.

გარდა ამისა გერმანელები, ყველგან, სადაც კი მიდიან, უთუოდ აკეთებენ რკინის გზებს. ადგილობრივი მცხოვრებნი გაკვირებულნი არიან მათი მოქმედებით.

— ეს გერმანელები ნამდვილი ჯადოსნები არიანო—გაიძახიან ლატიშები გლეხები—რკინის გზა თან ვუდით დააქეთ, და საცა მივლენ იქ იმ გულდას დასდებენ და რკინის გზა ჩნდება.

გერმანელები ათასობით ამუშავებენ ადგილობრივ მკვიდრი სანკრებსა ციხეებსა, გზებსა და თხრილებში. თავიანთი გზების საშუალებით „გერმანელთ შეუძლიათ თავის ჯარი ისე ამოძრავოს—შენიშნავს პეტროვი—როგორც პიანისტი თავის თითებს როიალის კლავიატურაზე“.

გერმანელთა წინსვლა საათებითაა და დიდის სისწოროთ სწარმოებს. იმაში შეუძლებელია, რომ წინ სავალი ჯარი თავის დროს არ შეუდგეს თავის სიქმეს. როგორც წინსვლა, ისე უკან დახევა საათებითა არის განსაზღვრული.

წინ მავალ ჯარს ყოველთვის თან სდევს აუარებელი ტვირთ-შიდველი ავტომობილი.

— თითქმის მთები დაიძრწნენო—გაიძახიან ლატიშები, როდესაც ავტომობილთა ქარავანს დაინახავენ ხოლმე.

ავტომობილებს თან დააქეთ თუჯის კოჭები, ხბინდძის ფიტები, რაღაც დიდი მანქანები და მრავალი სხვა საგანი, გზის გასაკეთებელი და თხრილების გასამაგრებელი.

გერმანელები, დაუყვანებლად აკეთებენ ბეტონის სადგურებს, სიბრიან ქებს, აგებენ სახვერ შენობებს და აშენებენ უზარმაზარ პაკაუსებს, რომელშიაც ინახავენ სამხედრო მასალას.

ზოგიერთ ალაგს გერმანელებმა მძიმე არტილერია დადგეს. ის ალაგი საცა კი მძიმე არტილერიაა დადგული, ნამდვილ თანამედროვე ციხეთაა ქცეული, თვით ზარბაზნები იმდენად მძიმეა თურმე, რომ მათ ასატანად რომელსამე მალლობზედ მუშაობდნენ რამდენიმე ასი ცხენი და კაცი.

— განა გაგონილა—გაიძახიან გლეხები—ერთ პატარა გორაკზედ ამოდინა ოქროს დახარჯვა... ვინ იცის რამდენი ურემი ოქრო წავიდოდნენ.

გვენი სხობა

ბათუმი. მ პარიამბისიყვის შესდგა არჩეულდებრივი კრება ბათუმის ხმონებისა.

უმთავრესი საკითხი იყო ხოლგის საკითხი. ხმონებს ეუწყა, რომ 31 გასულ თვესა ქალაქში შემთხვევით მოუყვანიათ რკინის გზით მგზავრი, რომელიც აღმოჩნდა ხოლგით ავად. ის მაშინვე ბოაკეში გაგზავნეს და, როგორც ექიმები მოწმობენ, გადარჩენის პირი არ უჩანს. ქალაქი ბათუმი საზოგადოდ ძლიერ სუფთა ქალაქია.

ჯარებსა ჰქონდა დაკავებული, მოითხოვა მათ მაგიერ სხვა შენობები მიეცა მათთვის ქალაქს. ქალაქმა ასეთი მოთხოვნისა კომენდანტისა დააკმაყოფილა

მაგრამ მის შესწორებასა და მოწყობას დასჭირდა ქალაქის მხრივ 5000 მანეთამდე. ამდენივე დასჭირდა საეყო გიმნაზიის გასუფთავებასა და შესწორებას. ყველა ეს ხარჯები კომენდანტმა აკისრებინა თვით ქალაქს. ქალაქი კი იძულებული გახდა აეღო თავის თავზე ეს ხარჯები, მხოლოდ ასეთი ზარალის ასანაზღაურებლად ერთნაირი საშუალება მისაძრავა. გიმნაზიის შენობებში ჯარი ექვს თვეზედ მეტია დაბინავებული. სამხედრო კანონის ძალით სახლის პატრონებს, სადაც ჯარებს დააბინავებენ სახლის ქირა ეძლევათ. გიმნაზიის შენობას წელიწადში 12.000 უწყვედა. ამიტომ ქალაქმა გადასწყვიტა მოსთხოვოს სამხედრო უწყებს შენობის ქირა, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში უდრის 6000 მან. და ამით ოდნავ მაინც დაფაროს ის ხარჯები, რომელიც ეგრე უმიზეზოდ არიან გამოწვეულნი. ასეთივე პირობებში აპირებს ქალაქი დააყენოს საკითხი ქალაქის გიმნაზიისა. შემდეგ ამ კითხვებისა არჩეულ იქნა საფინანსო კომისია (სოფროვი, კვალინკო, წუკინიოვი, ბინიატ-ოლი, ზაქარაიანი, მარტივიჩი, მდივანი, გოგოლაძე, მაგროპული, ფილიაკოვი და სახხტარაშვილი.)

ამშენებელი კომისია (მარტივიჩი, ბუზოლი, მელა, ჭედა, საბაგვი, გვიგინი-შვილი, მდივანი და პანასევიჩი).

ლომბარდის ყოველთვიური რევიზიისთვის: ფილიაკოვი და აბაკელია.

უწერია საქმეთ. ეს-კი მით უფრო ადვილი იქნებოდა, რომ, იმ დროსთან შედარებით, რაც საქმეში უნდა იქნებოდა, ახლა უფრო მარტივად იქნებოდა კითხვის მოთხოვნისა და ყველა სიამოვნებით აღმოუჩინეს შეძლებისა და გვარად შემეფობას ამ კეთილ საქმეს.

კ. თელა.

დ. ჩხიბარია. წინა წერილში აღნიშნული გვექნა, რომ ხალხი სიმშობის განიცდის-მეტეი. მთავრობამ ყურადღება მიამჩვია ამას და დახმარებას შეჰპირდა იმ ოჯახებს, რომელიც უფრო გასაძვირეს იყო. ხალხი დიდის იმედებით ეგებება ამ დახმარებას. რამდენიმე კვირის წინად ადგილობრივ თეატრში ატლექტმა ა. გვექკორმა საღამო გამართა. შესარულა საატლექტო ნომრები. ნახევარი შემოსავალი დაჭრილთა სისარგებლოდ გადაიღო.

მ. გ. —ლი.

დეკაუზები

სტოკჰოლმი, გერმანიის იმპერიის კანცლერის სიტყვის დასასრული:

შემდეგ კანცლერი შეეხო რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრისა და გრაფ ბერჰოლდის მოლაპარაკებას ავსტრო-რუსეთის უთანხმოების შესახებ და ამტკიცებდა, —გერმანია ყოველისფერს ღონობდა, რომ შვიდლობაინება არ დარღვეულიყო. 16 ივლ. გერმანიის ელჩი პეტროვად-ლიდან იუწყებოდა, რომ გომენსტერი საზნოევი კატეგორიულად უარსჰყოფს პირდაპირ მოლაპარაკება განაგრძოს ვენის კაბინეტთანაო, რის გამოც იძულებული გახდა გრების წინადადებით ესარგებლნა და თვითვე დაეწყო მოლაპარაკება. შემდეგ კანცლერი პათეტურად ხაზს უსვამს გერმანელთა დიდებას და თავმომწონედ განაცხადებს: „მე ცნობები მაქვს, რომ გერმანელთა მიერ დაპყრობილ ქვენებში, ჩვენ ვევაგვრებთ, რადგანაც განსაკუთრებული მოქმედების თანხმად შეგვაქვს სასულიერო-მეცნიერო წესები. მაგრამ მათ უნდა უწყოდნენ, რომ ჩვენ ისინი სრულიად არ გვეზიზღებოან, არა, ჩვენ მხოლოდ დაგვაიწყვდა სენტრინეტლობა! (სწრაფი მოწინააღმდეგე, ტაში). ჩვენ ვიბრძობებით იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგენი თვითვე არ მოითხოვენ ქეშპირიტ ზავს, ვიდრე ევროპის აღდგენისა და განახლების კარი არ გაიღებინა, ვიდრე იგი განთავისუფლებული არ იქნება ფრანგთა და მოსკოველთა ინტრიგებიდან...“

კანცლერი ტელეგრაფით ატყობინებს ვენის კაბინეტს: ჩვენ არ შეგვიძლიან ვიმედოთ ავსტრო-უნგრეთი, რომ მოლაპარაკება განაგრძოს სერბიასთან, რომელთანაც უკვე საომარ განწყობილებაშია, მაგრამ პეტროვად-ლიდან აზრების გაცვლის უარის ყოფა კი დიდ შეცდომა იქნებოდა. მართალია, ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ მხედველობაში ხელშეკრულების დროს დადებული პირობები, მაგრამ ავსტრო-რუსეთის უთანხმოების, ნუ ჩავაგდებთ საერთაშორისო ცეცხლის აღში“. (ხმაურობა: „ყოფი დაუგდეთ, ყური დაუგდეთ!“) საზოგადო მღელვარების დროს კანცლერი განაგრძობს: ჩირჰვის ცნობების თანხმად გრაფ ბერჰოლდმა ტელეგრაფზე უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილად გაუგებრობა მოხდა, სახელდობრ რუსეთის მხრიდანაო. ავსტრო-უნგრეთის ელჩი პეტროვად-ლი დაუყოვნებლივ მიიღებს შესაფერის ინსტრუქციებს... შემდეგ საიმპერიო კანცლერი იუწყებს, რომ ამის შესახებ ყოველისფერი შევატყობინეთ ინგლისის ბექტვით სიტყვაობას, რამაც უპასუხა, რომ ჩირჰვის სახელთანვე გამოცემული ინსტრუქცია გამომოწონია ამბავია, რათა საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანოსო. კანცლერი ახდილად ამბობს, რომ ამ ექვსის გასაფრთხვად მას კამათი არც კი ჰსურს. ამის შემდეგ იგი ამტკიცებს, რომ პეტროვად-ლისა და ვენის შუა თითქოს ყოველისფერი რიგდებოდა, რომ უეცრივ რუსეთში მომხდარმა მობილიზაციამ სულ ერთნაირად შესცვალა მდგომარეობა. შემდეგ კანცლერი ცილის წამებას უწოდებს ინგლისელთა რწმუნებას, ვითომც ინგლისმა წინადადება მისცა კონფერენციის მოსაწვევად, მაგრამ გერმანელებმა კი უარი სთქვაო. ომი აუცილებელი გახდა, რაკილა რუსეთში არ ინება მობილიზაციის შეჩერება. პოლონეთის შესახებ კანცლერმა განაცხადა: რომ ავსტრო-გერმანიის ჯარებმა უკვე მიხსვიეს პოლონეთის აღმოსავ-

130

ლოის საზღვრებს. მართვა-გამგეობა ახლად დაპყრობის ეკუთვნის ორივე სახელმწიფოს. გეოგრაფიულმა მდგომარეობამ და პოლიტიკურმა ძალმა კარგა ხნობით არ დაეცხრო ბრძოლა გერმანელთა და პოლონელთა შორის. მაგრამ წარსული მინც ხელს არ გვიშლის დიდს პატივით უყურით იმ პოლონელ ხალხს, რომელიც ასეთი თავგამოდებით იცავდა თავის კულტურას და თავისუფლებას რუსეთისაგან. მან დამტკიცა თავის გულმხურაველ სიყვარული სამშობლოსადმი ახლანდელ ომში. ამ განცხადების შემდეგ, კანცლერი იმედიანობს, რომ რუსეთის პოლონეთის დაპყრობა შექმნის ახალ ხანას, რომელიც სამუდამოთ მოსაპობს გერმანელების და პოლონელების უთანხმოებას, რომ განთავსდებიან რუსეთისაგან პოლონეთი უფრო მეტის სიმტკიცით მიეგრნობა თავის მომავალს, რომელიც მას საშუალებას მისცემს შეინახოს და განავითაროს თავის ნაციონალი არსებობა. შემოერთებულ პოლონეთს განაგებს გერმანია, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივ მცხოვრების დახმარებით. პოლონელებმა წუმად მოისმინეს კანცლერის სიტყვა. რაც უფრო ხანგრძლივი გახდება დღევანდელი ომი, ამომოს კანცლერი, მით უფრო მეტის პრიობობით დასტოვებს ევროპას. მინც და მინც მოფელით თავის დღეში არ მიიღებს იმ სახეს, როგორც სურთ ჩვენს მტრებს; ივინ ვერ აღადგენენ ძველ ევროპას დაბრუნებულ გერმანიით. არა, დასძენს კანცლერი, ახლანდელმა ომმა უნდა ახალი პოლიტიკური პირობები უნდა შექმნას. თუ ევროპას სურს მშვიდობიანობა საქორა რომ გერმანიამ რაც კი შეიძლება მავარი მდგომარეობა დაიჭიროს. უნდა მოისპოს ინგლისური სისტემა პოლიტიკურ თანასწორობისა, რადგან სწორედ ესაა მიზნები ყოველ ომებისა. გერმანიამ უნდა იმდენად გაიზარდოს, რომ მტრებს თავისი დღეში აზრად ექნება მათი მოუხდელი მისი დამტკიცება. ამის შემდეგ კანცლერი ამბობს თავისუფლად ზღვაში მისეგლა-მოსვლას. გერმანიამ, სთქვა კანცლერმა, სრულიად არ ემუქრის პატარა ერებს. მხოლოდ გერმანიის გამარჯვება განთავსდებიან ბალკანეთისა სახელმწიფოს რუსეთის შიშისაგან. ერთს დროს ინგლისი მფარველად ითვლებოდა ბალკანელებისა, ახლა კი როგორც რუსეთის მეგობარი მჩაგვრელი გახდება მათი.

**საგენტოს უნივერსალი.** რეისტრაციის განხილვის დღეს წარმოითქმული კანცლერის სიტყვა გულწრფელი აღსარებაა მთელი ქვეყნის წინაშე, თუ რა მიზანს დაუსახავს გერმანიამ, ან რა პოლიტიკის აღგია იგი. ეს ერთგვარი დამატება იმ განცხადებისა რომელიც ომის დასაწყისში მოვისმინეთ, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებანი მხოლოდ უბრალო ქალაქის ნახევარია. მაშინ კანცლერმა აღიარა, რომ გერმანიის არა სწავს რაიმე ეთიკა ერთა შორის დამოკიდებულებათა შესახებ. გერმანიის მოწინააღმდეგეებს მხოლოდ მილოცვა ჰპარათებთ ასეთს გულწრფელობისთვის.

დამატებითი ცნობა მივიღა ბერლინიდან, რომ კანცლერის ინგლისის ვასაგულთანებულად უთქვია, გერმანიის ელჩი ლინნოვსკი გასულ წელს 22 ივლ. გრეისთან გამომშვიდობების დროს: ამ უკანასკნელმა მიითხარა, რომ ინგლის-გერმანიის ომის შემდეგ

გერმანიის მაშინ უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს, ვიდრე დღეს რომ ნეიტრალიტება დავიცვაო. კანცლერმა დაუმატა, რომ გრეის წინაშე უკვე დამარცხებულ გერმანიის უკან რუსეთის უზარმაზარი სახე წარმოუდგა დამუქრებული მუშტითაო. მაშინ დამარცხებული გერმანიის საუკეთესო ვასალი იქნებოდა ინგლისისთვისაო.

**სტრასბურში,** 9 აგვისტო. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს, ალბათ ჩაგონებით. რამოდენიმე ათასმა კაცმა დიდი მანიფესტაცია მოახდინა კანცლერის სახლის წინ, აღმოსავლეთის ფონტანზე მომხდარ გამარჯვების აღსანიშნავად. კანცლერმა წარმოთქვა სიტყვა; სადაც ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას რომ ათი მილიონის სესხის საკითხის გადასაჭრელად რეისტრაცის ერთი სხდომის მეტი არ მოუწოდებოდა. დასასრულ, კანცლერმა სთქვა, ბრძოლა უფრო არ გათავაზულა, მაგრამ დღითი იმედით მალე დადგება ის მომენტი, როდესაც გატყდება ის, რასაც თავის თავის მოლოვნა არა სურდაო. ერთმა უცხოელმა გადასცა პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტს, გერმანიის ენლა სულიერი აღფრთოვანება მეფობს, და სურს ეს სულიერი აღფრთოვანება გადასცეს აგრეთვე ლად-კი, გერმანიის მდგომარეობა უნუფეშოა და არა შეეხება მის სულიერ აღფრთოვანებას, ერთის მხრით კანცლერის სიტყვას მიზნად აქვს ყველას შიში მოპვაროს გერმანიის უზარმაზარი ფიგურის წინაშე, ხოლო მეორეს მხრით სავარეო სესხის აღების საქმე გაიადვილოს და ანაირად მთელ ქვეყანას თავი დაუბრძავოს.

**პეტროგრადი,** 10 აგვისტო. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებ ალუქა გუბერნატორებს, რომ მეორე ხალხის დასაბინავებლათ და მოსაწყობად არჩეულია სახელმ. საბჭოს წევრი ბ-ნი ზუბინინი და სენატორი ურუსოვი: მოუწოდებს გუბერნატორებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ დასახლებულ ორ პირს, მისთავაზო გულწრფელი და თავაზიანი ყურადღება და არ შეედავონ უფლებებში არც ამ მთავარ რწმუნებულებს და არც მათ მხლობელ თანაშემწეებს. თანამდებობის პირებს ევალებათ მინცა და მინც კანონის ანაზას არ ჩაჰიღონ კბილი, არაფერ იხელოდვანელონ სინდისის ბრძანებით და საქმის არსებითი შინაარსით. თუცა ადგილობრივი მთავრობები ომის გამო ძალიან დატვირთული არიან სამუშაოთი, მაგრამ მინც უნდა ახსოვდეთ რომ დღეს მეორე ხალხის საკითხი; ერი მთავარ საკითხთაგანია და სახელმწიფოს ყურადღების ერთი მთავარი საგანი. ამავე დროს შინაგან საქმეთა გამგე იმედს გამოსთქვამს რომ ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალები გულისყურით მოეკიდება ამ საქმეს და თითონაც შიგ ჩაღვებიან.

**პარიზი,** 10 აგვ. საზღვაო მინისტრის ოფიციალი ცნობა. წარსულ ღამეს საფრანგეთის ორი ნაღმოსანი ოსტენდეს სიმალესთან გერმანიელების კონტრნაღმოსანი შეჭვდა, რომელიც ბრძოლის შემდეგ ჩაიძრულ იქნა. საფრანგეთის ნაღმოსნებმა მცირე ზოანი მიიღეს.

**თეიზანი,** 9 აგ. რუსტემპაიდის ახლოს, კახეთის და თეიზანის შუა ყარაღები გარს შემოორტყნეს ცოცხლად გადარჩენილ ეანდარმებს, რომელთაც კოლტრეში მეთაურობდა. ეანდარმები გაქორცვულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ გამოსასწვლად მოეშველნენ თეიზანის და კახეთის ეანდარმთა რზხმებთ. სპარსეთში წესიერება მხოლოდ იქ არის დატული, სადაც რუსის რზხმები სდგას. მცხოვრებნი რუსის მოწინააღმდეგის პრაპაგანდის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და რუსის ჯარის გარეშე არეულობას ახდენენ.

**ლონდონი,** 10 აგვ. ლოილი იტყობინება, დაღუპულ იქნა ინგლისის გემი „მარტა-ედმონდი“. გემზე მყოფნი გადააპირინეს.

**წერილი რედაქციის მიმართ**

მოწყალეო ხელმწიფე, ბ-ნო რედაქტორო! უმოჩრილესად გთხოვთ მომცეთ საშუალება ამ წერილის დაბეჭდვით თქვენს პატივცემულ გაზეთში პასუხი გავუკ-ბან ს. მდივანს და მით დავიცვა ჩემი პიროვნება და აგრეთვე საზოგადო მნიშვნელოვან საქმის სწორე გზით წარმოება.

თქვენი ერთობ პატივისცემელი  
**თ დი ი. ანდრონიკაშვილი.**

**ბ. სიმონ მდივანს მემორა წერილის პასუხად.**

ვტოვებ სრულიად უყურადღებოდ ერთობ დამახასიათებელ პოლემიკურ ომებს თქვენი წერილისა და შეგჩრდები მარტოდ-მარტო საქმის ვითარებაზე. მე მგონია, რომ ყოველი საზოგადო მოღვაწე, განსაკუთრებით იმისთანა მოღვაწე, რომელიც საზოგადოებრივ მნიშვნელოვან საქმის გარდასაწყვეტად უფლებას ჩემსეულს მიმართოს საზოგადოებრივსავე სამსჯავროს, მოვალეა იყოს წრფელი და მიუღვამელი, — რაც ნამდვილი გარანტიაა იმისა, რომ ნათლად და გარკვეულად წამოყენებული კითხვა არ ასკილდება თავის გზას. ჩემდა სამწუხაროდ უნდა აღვიარო, რომ თქვენ სულ რამდენიმე დღის განმავლობაში სრულიად ასკილდით იმ ნამდვილ პოზიციას, რომელზედაც თქვენ იდებით თქვენს პირველ ლია ბარათში და ეხლა კითხვა გადაეკეთ სულ სხვა ნიღაზზე.

თქვენს ხსენებულ ბარათში იუწყებოდით: 1) რომ ამ უკანასკნელ დროს ბათომის საბჭოს ქართველ ხმოსანთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელიც არაფრისთვის სასურველი არ უნდა იყოს; 2) რომ ამის მოსასპობლად საქორა დაუყოვნებლივ იქმნეს მიღებული ზომები; 3) რომ თქვენის აზრით, ჩვენს შორის მომხდარი ამავი უნდა გარდაეცეს განმოსარკვევად რამდენიმე არჩეულ ქართველ მოღვაწეს და 4) რომ ეს უნდა მოხდეს ქალაქის თავის არჩევანის, რომ მოელოს ბოლო ყოველგვარ მითქმა-მოთქმას და არჩვენებამაც საზოგადო ინტერესების უზენადად ჩაიარონ.

ეხლა-კი იუწყებით: „მე ვამბობდი და ვიმეორებ, რომ ამ ბოლო ხანებში ბათომის ქალაქის თვით-მართელობაში დატრიალდა ისეთი საქმე, რომლის ინიციატორი და სული ჩამდგმელი ხარო პრადათ თქვენ (ე. ი. მე) და ამ თქვენს საქციელს პასუხი უნდა გასცეს ჩვენმა საზოგადოებრივმა აზრმა, რადგან მისი უზახუნოდ დატოვება იქნება ქართველი ხალხის მისწრაფებათა აბუჩად აღდება“ (კურსით დედანიასა).

დამეთანხმებით, რომ, როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, თქვენს ორ წერილში სულ სხვა და სხვა ნათლად არის დაყენებული კითხვა და მათ შორის დიდი არსებითი განსხვავებაა.

აქურს მცირე ქართველ ინტელიგენტთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება საზოგადო მნიშვნელოვანი კითხვაა და როგორც ასეთი, იგი ღირსია, რომ შეუდგნენ მისი მიზეზების გამოკვლევას ის პირნი, რომელნიც ასე თუ ისე უფლებას სათავეში აქაურს საზოგადოებრივ საქმეებს.

სანამ თქვენ ამ ნიღაზზე იდებით და წამოყენებული გქონდათ კითხვა ჩემს მიხედვითავე ქართველ ინტელესებისათვის, მე მხარს გიჭერდით, თქვენთან ერთად ვიყავი და საქორდაც ვიყოდი, რომ იგი საზოგადოების მიხედვით, რათა საზოგადოებრივი მსჯავროთ გამორკვეულყო, მაგრამ, რადგან ამასთან დამნაშავედ უნდა ხსენებული უთანხმოებისა აქაურს ქართველ ინტელიგენტთა შორის, ჩემს თვალსაზრისით, ბრძანდებით თქვენ, მე საქორდაც ვთვლიდი და ეხლაც ვთვლი; რომ წამოყენებულ მთავარი კითხვის გამოსარკვევად აუცილებელი საქორა იქმნეს დაფასებული საზოგადო მოღვაწეთა არამც თუ მართო ჩემი, არამედ თქვენიც —

კითხვა უნდა იქმნეს დაყენებული უეკველად ან ნათლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებრივ სამსჯავროს ჩვენს შორის ნიღაზი არ ექნება, რადგან მე თქვენთან პირადი ანგარიშების გაწვევას სრულიად არ ვაპირებ, რომ არც ეს ვაპირებ აგრეთვე თქვენი საზოგადო მოღვაწეობის ვისმესგან ვაშუქვებას.

ეხლა თქვენ ასკილდებით ამ პოზიციას და იუწყებით, რომ მე ჩავიდინე იმისთანა რამ, „რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ჩვენმა საზოგადოებრივმა აზრმა. ვინაიდან მისი უზახუნოდ დატოვება იქმნება ქართველი ხალხის მისწრაფებათა აბუჩად აღდება“.

ნება მომეცით გკითხოთ, — ვინ უშლის ქართველ საზოგადოებრივ აზრს, ან პირადად თქვენ, ან ადგილობრივ ქართველ საზოგადოებას დასდოს მსჯავრო ჩემს საზოგადო მოღვაწეობას ან ამა თუ იმ ჩემს ქვეყას, როგორც თქვენ ბრძანებთ, — მსჯავრო, რომლითაც თქვენ ვინდათ იხელმძღვანელოთ ქალაქის თავის მომავალ არჩევნების დროს? მე ვფიქრობ, რომ ამის წინააღმდეგი არაფერ არ იქნება და არც უნდა იქნეს. — ჩემი მოღვაწეობის სასებებით და ყოველის მხრით დაფასებისათვის საქორა არ არის არც ჩემი და არც ჩემგან არჩეულ პირთა მონაწილეობა, რადგან ჩემი მოღვაწეობა ყველასათვის ცხადია და დაწვრილებითი ცნობილი, უარის ყოფა კი რომელიმე მოქმედებისა ანუ აზრისა, რომელიც მე მეკუთვნიან, არასოდეს არ მიფიქრნია და არც მწადის, — წინააღმდეგ, მე ერთობ დავალებული ვიქნებოდი თქვენგან, თუ რამ, თქვენის დახმარებით, ქართველ საზოგადოებრივი აზრი გამოიტანს მსჯავროს ჩემს მოღვაწეობაზე ქალაქის თავის არჩევნებადის.

მაგრამ ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორი მსჯავრო იქნება დად-

ენილი ჩემს საზოგადო მოღვაწეობაზე, — ძირითადი კითხვა, ე. ი. მიზეზი უთანხმოებისა აქაურ ქართველ ინტელიგენტთა შორის, რომელმაც მიიღო მე გამომეწვეით თქვენ, როგორც დამნაშავე ამისა, საზოგადოებრივ სამსჯავროში, — ეს ძირითადი კითხვა, ვამბობ, ღიად დარჩება, სანამ თქვენ გზას უხვევთ ამ სამსჯავროს. და სანამ თქვენ, თქვენ მიერ პირველ ლია ბარათში ნათლად და გარკვეულად დაყენებულ კითხვის არეგდარევის განაგრძობთ, მე უფლება მექნება განვახადო, რომ თქვენ უარსა ვყოფთ ამ საზოგადოებრივ სამსჯავროს. მომავალ სამსჯავროში არ გსურთ თქვენ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეებმა, რადგან — თქვენის აზრით, „ბათომელებს რომ შეეძლებოდათ ამ საქმის დაბოლოება, მაშინ სხვა ქართველ მოღვაწეთ არ მიეპართავდით, რომ პირადულ შეტაკებაში დისაც მივედით“.

ამ გვარი თქვენი განცხადება, პირველ შეხედვით, თითქოს, სწორია, მაგრამ რომ ჩაუჭვირდეთ, ადვილად იპოვით შიგ საზოგადო თვალსაზრისის მხრით უარყოფითი ტენდენციას. თქვენ გსურთ, რომ ნება და შეხედულება ადგილობრივი ქართველი ინტელიგენტისა და საზოგადო მოღვაწეთა დაუქმებლადროდ მხოლოდ თქვენ და ჩემ მიერ არჩეულ პირთაგან შემდგარ სამსჯავროს გარდაწყვეტილებას, რომელშიაც მონაწილეობა არ უნდა მიიღონ ადგილობრივი საზოგადო ძალებმა. მე იმ შემთხვევაში დავეთანხმებოდი ამაზე, თუ კი სამსჯავრო იქნებოდა შემდგარი ადგილობრივ მოღვაწეთა არჩეული პირთაგან და არა მარტო ჩემ და თქვენ მიერ, ჩვენ მიერ ამორჩეულ სამსჯავროს უნდა ჰქონდეს ავტორიტეტული ძალა მხოლოდ ჩვენთვის და არა მესამე პირთათვის. და რომ ამ გვარივე მნიშვნელობა ჰქონდეს მას მესამე პირთათვისაც, საქორა ამათაც მიეცეს უფლება მიიღონ მონაწილეობა სამსჯავროს შედგენაში ან პირდაპირ ან და წარმომადგენელთა შეწყობით. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ თქვენ გნებობთ აქაური საზოგადოებრივი აზრი ძალად დაუმორჩილოთ ჩვენგან არჩეულ პირთა გარდაწყვეტილებას, — ამ გვარად დაბოლოება კითხვისა სრულებით სასურველი არ არის, რადგან ეს არ მოსპობს იმ არეგდარევის ჩვენს შორის, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ.

ამიტომ მე მგონია, რომ თქვენი სურვილი და წადილი, რომ ამ სამსჯავროში ადგილობრივ ელემენტებმა არ მიიღონ მონაწილეობა, ნაკარნახევი, ყოველ შემთხვევაში, არა საქმის ინტერესებში და საზოგადოებრივი პრინციპებით, — ამისათვის თქვენი წინადადება არ არის მისაღები. ზემო მოყვანილი მოსაზრებებით მე საქორდაც ვთვლი ამ საქმეში ფართო მონაწილეობა მიიღონ თვით ბათომელებმა. დასასრულ უნდა აღვიარო ჩემი სურვილი — რაც შეიძლება მალე შევედგეთ საქმეს, რომ განვათავსოთ ქართველი საზოგადოება ჩვენ შორის გამბულ არა სანტერესო და გაქაიანურებული მიწერ-მოწერის კითხვისაგან. მაშასადამე, ვფიქრობ, რომ, თუ თქვენ თანახმა ბრძანდებით თქვენ პირველ ლია ბარათში და ჩემს პასუხებში წამოყენებულ საკითხისა, შეიძლება შევსწავიკოთ გაზეთებისა, მისწავიკოთ და საქმე გარდავსცემოთ თ-დი ი. ა. ანდრონიკაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი  
**სანდრო შანთიაშვილი**

**თბილისიდან გადის:**  
თბილისიდან . . . 8 ს. 13 წ. დილ-ნათლ-ლ-ამიერ-კავ. . . 8 „ 40 „ „  
ნათლ-ლ-კახეთ. . . 8 „ 58 „ „  
ვაზიანიდან . . . 10 „ 06 „ „  
ივრიდან . . . 21 „ 15 „ „  
სავარჯიშოდან . . . 11 „ 58 „ „  
ბალიაურიდან . . . 12 „ 56 „ „  
მელაანიდან . . . 2 ს. 16 წ. სალ-გურჯაანიდან . . . 2 „ 37 „ „  
კარდენახიდან . . . 4 „ 12 „ „  
წნორის-წყალზე . . . 4 „ 44 „ „  
**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**  
გურჯაანიდან . . . 3 ს. 42 წ. სალ-ვაჩანაძიანიდან . . . 4 „ 33 „ „  
თელავში . . . 5 „ 27 „ „  
**თბილისისკენ მიდის:**  
წნორის-წყლიდან . . . 8 ს. 58 წ. დილ-კარდენახიდან . . . 9 „ 41 „ „  
გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „  
მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „  
ბალიაურიდან . . . 12 „ 59 „ დლ-სავარჯიშოდან . . . 2 „ 80 „ „  
ივრიდან . . . 2 „ 50 „ „  
ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „  
ნათლ-ლ-კახეთ. . . 4 „ 58 „ „  
ნათლ-ლ-ამიერ-კავ. 5 „ 13 „ „  
ბილისში . . . 5 „ 28 „ „  
**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**  
თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ-ვაჩანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „  
გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

ბულ საკითხისა. შეიძლება შევსწავიკოთ გაზეთებისა, მისწავიკოთ და საქმე გარდავსცემოთ თ-დი ი. ა. ანდრონიკაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი  
**სანდრო შანთიაშვილი**

კასეთი: რეინის გუმის მიმოსვლა  
(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)  
თბილისიდან გადის: ორზაბათობით, ოთხ-ზაბათობით და პარაკვობით; უკან ბრუნდება: სამზაბათობით, ხუთზაბათობით და შაბათობით.  
**თბილისიდან გადის:**  
თბილისიდან . . . 8 ს. 13 წ. დილ-ნათლ-ლ-ამიერ-კავ. . . 8 „ 40 „ „  
ნათლ-ლ-კახეთ. . . 8 „ 58 „ „  
ვაზიანიდან . . . 10 „ 06 „ „  
ივრიდან . . . 21 „ 15 „ „  
სავარჯიშოდან . . . 11 „ 58 „ „  
ბალიაურიდან . . . 12 „ 56 „ „  
მელაანიდან . . . 2 ს. 16 წ. სალ-გურჯაანიდან . . . 2 „ 37 „ „  
კარდენახიდან . . . 4 „ 12 „ „  
წნორის-წყალზე . . . 4 „ 44 „ „  
**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**  
გურჯაანიდან . . . 3 ს. 42 წ. სალ-ვაჩანაძიანიდან . . . 4 „ 33 „ „  
თელავში . . . 5 „ 27 „ „  
**თბილისისკენ მიდის:**  
წნორის-წყლიდან . . . 8 ს. 58 წ. დილ-კარდენახიდან . . . 9 „ 41 „ „  
გურჯაანიდან . . . 10 „ 24 „ „  
მელაანიდან . . . 11 „ 39 „ „  
ბალიაურიდან . . . 12 „ 59 „ დლ-სავარჯიშოდან . . . 2 „ 80 „ „  
ივრიდან . . . 2 „ 50 „ „  
ვაზიანიდან . . . 3 „ 55 „ „  
ნათლ-ლ-კახეთ. . . 4 „ 58 „ „  
ნათლ-ლ-ამიერ-კავ. 5 „ 13 „ „  
ბილისში . . . 5 „ 28 „ „  
**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**  
თელავიდან . . . 8 ს. 54 წ. დილ-ვაჩანაძიანიდან . . . 2 „ 58 „ „  
გურჯაანში . . . 10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რეინის გუმის მიმოსვლა  
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)  
**თბილისში მიდის:**  
№ 3 ბაქოდან . . . 12 ს. 54 წ. დლ-  
№ 4 ბათომიდან . . . 5 ს. 55 წ. სალ-  
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. სალ-  
№ 10 ბათომიდან . . . 9 ს. 51 წ. დილ-  
ჯულფიდან . . . 6 ს. 53 წ. დილ-  
ბორჯომიდან . . . 7 ს. 25 წ. დილ-  
საგარო . . . 10 ს. 28 წ. სალ-  
**თბილისიდან გადის:**  
№ 3 ბათომისკენ . . . 1 ს. 45 წ. დლ-  
№ 4 ბაქოსკენ . . . 7 ს. 3 წ. სალ-  
№ 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დლ-  
№ 9 ბათომისკენ . . . 8 ს. 53 წ. სალ-  
ჯულფისკენ . . . 10 ს. 23 წ. სალ-  
ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დლ-